ადგილობრივი თემის განვითარება: რამდენად ეფექტურია გარე დახმარება?

ერთი პროექტის გაკვეთილები

Brot für die Welt

CIPDD
მშვიდობის, დემოკრატიის და
განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

CIPDD

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

ადგილობრივი თემის განვითარება: რამდენად ეფექტურია გარე დახმარება?

ერთი პროექტის გაკვეთილები

თბილისი 2017

გამოცემა მომზადდა *მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის* პროექტის „ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება Bread for the World-ის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე მუშაობდნენ: გია ნოდია, თიკო ტყეშელაშვილი

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2017

თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 72
ტელ. 2355154, ფაქსი 2355754
www.cipdd.org

შინაარსი

თემის მობილიზაციის პროექტების გამოცდილება საქართველოში 5

პრობლემის დასმა: საერთაშორისო დახმარება და „თემის განვითარება“ 7

პოლიტიკური კონტექსტი: ადგილობრივი თემი და ადგილობრივი ხელისუფლება..... 10

ადგილობრივი თემი, ადგილობრივი ხელისუფლება და განვითარებაზე
მომუშავე ორგანიზაციები: რესურსები და გამოუყენებელი შესაძლებლობები..... 13

წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები და მათი გაკვეთილები 16

სასმელი წყლის პრობლემა სოფელ ოლავერდში 16

გზის პრობლემა სოფელ ცივაძეებში..... 18

ელექტროენერგიის მიწოდება ბორჯომის საცხოვრებელ კორპუსში 20

ახალგაზრობის თავშეყრის ადგილი სოფელ ხცისში 21

დასკვნები და რეკომენდაციები..... 22

თემის მობილიზაციის პროექტების გამოცდილება საქართველოში

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს ისეთი ფენომენი, რომელსაც ქვია განვითარების დახმარება: უფრო განვითარებული, მდიდარი ქვეყნები ეხმარებიან ნაკლებად წარმატებულებს, რათა ისინი განვითარდნენ და სიღარიბე დაძლიონ. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წის, მისი მიმღები გახდა საქართველოც.

როგორც წესი, განვითარების დახმარების უდიდესი ნაწილი იხარჯება სამიზნე ქვეყნის ხელისუფლების მეშვეობით. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, ასე შენდება გზა, ე. წ. „ავტობანი“ თბილისიდან სარფამდე. რა შემთხვევაშია ასეთი დახმარება ეფექტური? ამის შესაფასებლად კონკრეტულ ინდიკატორებს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ასეთია, მაგალითად, პრიორიტეტების სწორი გამოყოფა: არის გზების მშენებლობა ის, რაც ქვეყანას განსაკუთრებით სჭირდება, თუ შეზღუდული რესურსები პირველ რიგში სხვა მიმართულებით უნდა მივმართოთ? მეორეს მხრივ, საერთაშორისო დახმარების პროგრამები ვერაფერს მოიტანს იქ, სადაც არ არსებობს ქმედუნარიანი და პატიოსანი მთავრობა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოყოფილ თანხებს დანიშნულებისამებრ გამოიყენებს.

მაგრამ ქვეყნის განვითარებაზე მიმართული საერთაშორისო დახმარების გარკვეული ნაწილი უშუალოდ საზოგადოებას მიემართება ხელისუფლების გვერდის ავლით. ამაში იგულისხმება როგორც სამოქალაქო საზოგადოების შედარებით პროფესიული ორგანიზაციების (ე. წ. „ენჯიოების“) მხარდაჭერა, ისე „თემის განვითარების“ თუ „თემის მობილიზაციის“ პროგრამები, როდესაც დახმარების მიზანია ადამიანთა ჯგუფების ხელშეწყობა იმ მხრივ, რომ მათ უკეთ შეძლონ საკუთარი სოფლის, უბნის, საცხოვრებელი კორპუსის და ა. შ. პრობლემების გადაწყვეტა.

რას თვლიან ადგილობრივ თემებში ყველაზე აქტუალურ პრობლემებად?

- როგორც სარწყავი, ისე სასმელი წყლის მისაწვდომობა
- შიდა გზების გაუმართაობა
- სპორტული მოედნების და სკვერების არარსებობა
- ახალგაზრდებისთვის განვითარების შესაძლებლობის სიმცირე
- საბავშო ბაღების მდგომარეობა

წყარო: კავკასიური ინსტიტუტის პროექტის „ადგილობრივი ინიციატივები განვითარებისთვის“ 2014-16 წლის მონაცემები

ამ ნარკვევის ძირითადი თემა ეს უკანასკნელია: რა შემთხვევაში იქნება თემის მობილიზაციის პროგრამები უფრო ეფექტური, რა შემთხვევაში მოხდება ისე, რომ ის, ერთი მხრივ, რეალურად გააუმჯობესებს ადამიანების ცხოვრებას, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანებს იმის უნარ-ჩვევებს შესძენს, რომ მათ უკეთ შეძლონ არსებული რესურსების გამოყენება საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებთ ჩვენი ორგანიზაციის, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კონკრეტული პროგრამის „ადგილობრივი ინიციატივები განვითარებისთვის“ გამოცდილებას. ამ პროგრამის ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტი საქართველოს ოთხ რეგიონში (აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში და შიდა ქართლში) ეხმარებოდა კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ადამიანებს, სათემო პრობლემები გადაეჭრათ. სახელდობრ, პროგრამის განხორციელების პროცესში 69 დასახლებაში მოხდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად პრიორიტეტული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის სტრატეგიებზე მუშაობა. იქ, სადაც დასახლების საინიციატივო ჯგუფი შედგა და სხვადასხვა ადგილობრივი აქტორის (მოსახლეობა, ხელისუფლება, კერძო სექტორი) ჩართულობის უზრუნველყოფა შევძელით, შემუშავდა პრობლემებზე რეაგირების სტრატეგიები და, რიგ შემთხვევებში, კონკრეტული პრობლემებიც მოგვარდა. მართალია, პროექტის ფარგლებში გვქონდა გარკვეული ფინანსური სახსრები, რომლებიც კონკრეტული პრობლემების მოხმარებას უნდა გამოდგომოდა, ისინი საკმაოდ მცირე იყო და მხოლოდ დამხმარე საშუალებად გამოიყენებოდა; პროგრამის ყველა მიღწევა მხოლოდ თემის მობილიზაციის და უშუალო ჩართულობის ფონზე გახდა შესაძლებელი.

პრობლემები, რომლებიც, ჩვენი პროექტის გუნდის დახმარებით, ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოავლინა, მოიცავდა საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ახალგაზრდებისთვის განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზებას და ა.შ. სამიზნე დასახლებებისა და პრობლემური საკითხების სპეციფიკის მიხედვით სხვადასხვა მიდგომა აღმოჩნდა წარმატებული: რიგ შემთხვევებში ადვოკატირება და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პრობლემის მიტანა იყო საკმარისი, სხვაგან უშუალოდ სათემო მობილიზაციამ გამოიღო შედეგი. იყო შემთხვევები, როცა მოსახლეობის, ადგილობრივი ხელისუფლების და კერძო კომპანიის ერთობლივ ძალისხმევას მოჰყვა შედეგი. პროექტის თითოეული შემთხვევა (case) მიანიშნებს იმაზე, რომ ხელმისაწვდომი მწირი ფინანსური რესურსის მიუხედავად მოქალაქეებს აქტიურობით, ადვოკატირებით, ურთიერთშეთანხმებული ქმედებით შეუძლიათ დადებითი ცვლილებების ინიცირება საკუთარ დასახლებებში.

წარმატებულ ინიციატივებს კი გადამდები ეფექტი აქვს იმავე და მეზობელ დასახლებებში. ერთი საკითხის მოგვარებით მოტივირებული თემი ცდილობს სხვა პრობლემებსაც მიხედოს. ერთ სოფელში მიმდინარე დადებითი ცვლილებები კი მეზობელი დასახლებებისთვის არის ბიძგის მიმცემი. სწორედ ამიტომ პროექტის ერთ-ერთ მიმართულებას სამიზნე დასახლებებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

იმედი გვაქვს, რომ გამოტანილი გაკვეთილები და რეკომენდაციები საინტერესო იქნება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, დონორთა წარმომადგენლების, ადგილობრივი განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, თემის ლიდერების, ადგილობრივი განვითარების საკითხებით დაინტერესებულ ექსპერტებისთვის.

პრობლემის დასმა: საერთაშორისო დახმარება და „თემის განვითარება“

თემის განვითარებაზე მიმართული დახმარების ფილოსოფია არსებითად განსხვავებულია დახმარების სხვა პროგრამებისაგან. ის ამოდის დაშვებიდან, რომ ქვეყანა მხოლოდ ცენტრალიზებული მეთოდებით, მხოლოდ დედაქალაქში მოქმედი მთავრობის ძალისხმევით ვერ განვითარდება. ქვეყნის მთავრობა იმას უნდა აკეთებდეს, რასაც სხვა ვერავინ გააკეთებს: ხსენებული „ავტობანი“ ამის კლასიკური მაგალითია. მაგრამ არსებობს სხვა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადასაჭრელად უფრო უპრიანია, ინიციატივა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ან თუნდაც ადგილობრივმა თემმა (მაგ. სოფელმა, ან დიდი კორპუსის მოსახლეობამ) აიღოს თავის თავზე.

ამ მიდგომის უპირატესობა გაპირობებულია, ერთი მხრივ, მეტი დემოკრატიის, მეორეს მხრივ კი – მეტი ეფექტურობის იდეით. დემოკრატიის განვითარება გულისხმობს საზოგადოების გააქტიურებას და ადგილობრივი ინიციატივის წახალისებას, მართვის მრავალპოლუსიანობას. არ არის საკმარისი, ხალხმა 4-5 წელიწადში ერთხელ ქვეყნის პრეზიდენტი და/ან პარლამენტი აირჩოს, მან უშუალოდ მართვაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა, ეს კი ყველაზე მეტად ადგილობრივ დონეზე შეიძლება. თუ მოქალაქეები შეეჩვევიან, არა მხოლოდ უგულშემატკივრონ რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი სოფლის, ქალაქის და ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაში პროცესის სხვადასხვა ეტაპზე (პრიორიტეტების გამოკვეთა, გადაწყვეტის მეთოდის შემუშავება, რესურსების მოძიება, კონკრეტული ღონისძიებების გატარება ან ამ პროცესზე ზედამხედველობა, შედეგების შეფასება და ა. შ.), ისინი უფრო კომპეტენტური მოქალაქეები გახდებიან და გაიზრდება პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის ხარისხი. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტები უფრო მყარ საფუძველს დაემყარება.

ეფექტურობის არგუმენტი გულისხმობს, რომ ადგილებზე – სოფლებში, დაბებში, ქალაქის უბნებში და ა. შ. ადამიანებმა უკეთ იციან, რა არის მათი პრობლემები და რომელი მათგანია გადასაჭრელი პირველ რიგში, უფრო მეტად არიან დაინტერესებული ამ პრობლემების გადაჭრით და, მეტიც, მზაობა აქვთ საკუთარი რესურსები (შრომა, ფული, სოციალური კავშირები) მათ გადაწყვეტაში ჩადონ. შესაბამისად, რაც მეტი იქნება თემის ჩართულობა, მით მეტი შანსია, ადგილობრივი პრობლემები რეალურად გადაწყდეს. ასეთი სახის აქტივობას ქალაქთან შედარებით უფრო მეტი დატვირთვა აქვს სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც ძირითად სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა (ჯანდაცვა, განათლება) და მინიმალური ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (გზა, წყლის მიწოდება) დიდ პრობლემას წარმოადგენს.

რა შეიძლება იყოს ასეთ შემთხვევაში გარე მოთამაშეების (დონორების, საერთაშორისო

ორგანიზაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების) როლი? ამის გასარკვევად უნდა დავსვათ კითხვა: საერთოდ რა ხდის საჭიროდ და შესაძლებლად გარე დახმარებას? ასეთი დახმარება არსებობს იქ, სადაც არის ღრმა ნაპრალი მდიდარ და ღარიბ, ანუ მეტად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის. მდიდარ ქვეყნებს აქვთ ორი ტიპის რესურსი, რომლებიც ნაკლებად განვითარებულებს აკლიათ: ერთის მხრივ, ეს არის მატერიალური რესურსი (ფული ან კონკრეტული აღჭურვილობა და მასალები), მეორეს მხრივ კი – ცოდნა და გამოცდილება. ზემოთმოყვანილ მაგალითს რომ მივუბრუნდეთ, თუმცა გამართული გზები აბსოლუტურად აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, მათი მშენებლობა საკმაოდ ძვირია და ღარიბი ქვეყნების მთავრობებს უჭირთ მათთვის რესურსების გამოყოფა: მდიდარ ქვეყნებს შეუძლიათ მათ ამაში ხელი გაუმართონ. მეორეს მხრივ, ღარიბი ქვეყნების სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რაც კონკრეტული პრობლემების გადაჭრას სჭირდება: განვითარებულ ქვეყნებს ამ ნაკლის ამოვსებაც შეუძლიათ კომპეტენტური ექსპერტების და ორგანიზაციების საქმეში ჩართვით.

მაგრამ „თემის მობილიზაციაზე“ მიმართული პროგრამები რამდენადმე განსხვავდება ამ მიდგომისგან. ამ შემთხვევაში ვვარაუდობთ, რომ ადგილობრივ თემს, ანუ კონკრეტულ დასახლებაში მცხოვრებ ადამიანებს, თავად აქვს საკმარისი ცოდნა და, შესაძლოა, მატერიალური რესურსებიც კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ რატომღაც ამ რესურსების გამოყენება არ ხდება. კონკრეტულად, რა შეიძლება ამ დროს გარე მოთამაშემ გააკეთოს, რომელიც, ჩვეულებრივ, დონორი ქვეყნების მიერ დაფინანსებული საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა?

ამოსავალი დაშვება ამ დროს ისაა, რომ ადგილობრივ თემს მართლაც აქვს გარკვეული რესურსი საკუთარი პრობლემის გადასაჭრელად (ადგილობრივი კონტექსტის ცოდნა, შრომითი უნარ-ჩვევები და ა. შ.), მას აკლია ამისთვის საჭირო სოციალური ან ტექნიკური კომპეტენციები. ტექნიკურ კომპეტენციაში იგულისხმება ცოდნა კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რითაც ადგილობრივი პრობლემა შეიძლება იყოს გადაწყვეტილი. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური კომპეტენცია: აქ იგულისხმება, ერთის მხრივ, სოციალური თანამშრომლობის, თვითორგანიზების, საკუთარი რესურსების ეფექტური მობილიზაციის ჩვევა; მეორეს მხრივ, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ სახელისუფლებო ორგანოებთან (როგორც ადგილობრივ, ისე საერთო-ეროვნულ დონეზე) ურთიერთობის, მათ საქმიანაობაზე გავლენის მოხდენისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. გარე მოთამაშეებს სწორედ ამ მიმართულებით შეუძლიათ პროცესებზე პოზიტიური გავლენის მოხდენა.

ამგვარი პრობლემის არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული დემოკრატიული გარემოს ნაკლოვანებებთან. კომუნისტური ავტორიტარიზმის ათწლეულებმა ადამიანებში გააღრმავა ერთგვარი „მომლოდინე“ დამოკიდებულება: ყველა პრობლემა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ადამიანებს შეუძლიათ, სახელისუფლებო ორგანოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და მისი „შეწუხებაა“, რათა ხელისუფლებამ „მოხედოს“, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საპროტესტო აქციის გამართვაა. ამ თვალსაზრისით, დამოუკიდებლობის წლებში ვითარება დიდად არ შეცვლილა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა კვლავაც პოლიტიკური სისტემის სუსტ, ნაკლებად განვითარებულ რგოლად რჩება. მართალია, სხვადასხვა ხელისუფლებამ განახორციელა რეფორმები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებას და გაძლიერებას ემსახურებოდა, რეალური პოლიტიკური ძალაუფლება და, მასთან ერთად, ფინანსური რესურსები კვლავ ცენტრშია კონცენტრირებული და რიგითი მოქალაქეებიც პრობლემების გადაწყვეტას უპირველეს ყოვლისა მისგან მოელიან.

ხშირად მსგავსი დამოკიდებულებაა დონორების მიმართაც: მაშინ, როდესაც მათი გამოცხადებული ინტერესია გრძელვადიან პერსპექტივაში „თემის გაძლიერება“, ანუ ადამიანების მიერ საკუთარი პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების ამაღლება, სამიზნე ჯგუფები ხშირად ამგვარ დახმარებას მხოლოდ ამწუთიერი პრობლემების გადაჭრის თვალით უყურებენ და ნაკლებ ინტერესს იჩენენ გარე მოთამაშეთა მიმართ, თუ მათი საქმიანობისგან ასეთ კონკრეტულ სარგებელს არ ელიან. დონორი ორგანიზაცია ამ შემთხვევაში ხელისუფლების ჩამნაცვლებელია: ადგილობრივ თემს მხოლოდ პრობლემაზე მითითება შეუძლია, მისი გადაჭრა კი გარე მოთამაშის საქმეა.

ჩვენი პროგრამა ეფუძნებოდა იმ ფილოსოფიას, რომ ძირითადი – თუმცა ძალზე რთული – ამოცანა სწორედ ამგვარი მენტალური განწყობის შეცვლაა. სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანებს პირველ რიგში კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა ადარდებს. ამიტომ, როდესაც თემის დონეზე გარე აქტორების ჩარევა ხდება, თემმა უნდა დაინახოს, რომ ამით კონკრეტული პრობლემის გადაჭრის რეალური შანსი იქმნება. სრულიად გასაგებია ნიჰილიზმი იმგვარი პროგრამების მიმართ, რომლებიც მხოლოდ პრობლემებზე ზოგადი საუბრით ან, თუნდაც, ადგილობრივი ინიციატივის გამოჩენისადმი მოწოდებით შემოიფარგლება. ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ აქტივობას კონკრეტული ცვლილებები მოყვება. მაგრამ ამ პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული შედეგი: გაყვანილი გზა, მისაწვდომობა წყალზე და ა. შ., არამედ სოციალური ინტერაქციის გამოცდილება, ახალი უნარ-ჩვევები, რაც აამაღლებს თემის უნარს, მის ხელთ არსებული რესურსები მომავალშიც უფრო ეფექტურად გამოიყენოს.

პოლიტიკური კონტექსტი: ადგილობრივი თემი და ადგილობრივი ხელისუფლება

როდესაც ადგილობრივი თემის წინაშე რაიმე კონკრეტული პრობლემა დგას, სრულიად ბუნებრივია, რომ, პირველ რიგში, ის ადგილობივი ხელისუფლებისგან ელოდეს დახმარებას. მაგრამ, როგორც ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან ურთიერთობამ აჩვენა, ადამიანები ხშირად უკმაყოფილო არიან ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობით და სკეპტიკურად უყურებენ მისი წარმომადგენლების უნარს და მოტივაციას. თუმცა ნიჰილიზმი ხშირად ცენტრალურ ხელისუფლებაზეც ვრცელდება, პრობლემების გადაჭრას ადამიანები მაინც უფრო მეტად ისევ მას უკავშირებენ, როგორც მეტი გავლენისა და რესურსების მქონეს. ყოველივე ამის შედეგად, კონტაქტები ადგილობრივ ხელისუფლებასა და თემებს შორის ნაკლებ ინტენსიური და პროდუქტიულია.

ამის ძირითადი მიზეზი ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ძალთა რეალური ბალანსია. კანონის თანახმად, საქართველოში მუნიციპალური ხელისუფლება საერთო-ეროვნულისგან დამოუკიდებელია. როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულო, ისე გამგებელი ადგილობრივი მოსახლეობის მიერაა არჩეული. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მათი ძალაუფლების რეალურ წყაროდ განიხილავენ არა ადგილობრივ ამომრჩეველს, არამედ თავიანთ პარტიულ ხელმძღვანელობას დედაქალაქში, რადგან ადგილობრივ

რა უშლის ხელს ადგილობრივი თემის ეფექტურობას?

- დაბალია პრობლემის გადაწყვეტის გარშემო თვითორგანიზაციის უნარ-ჩვევები. თვითორგანიზაციის ტიპური ფორმა ერთჯერადი და სპონტანურად განხორციელებული საპროტესტო აქციებია
- ადამიანებს მომლოდინე დამოკიდებულება აქვთ პრობლემების გადაწყვეტის მიმართ: ისინი თვლიან, რომ გადაწყვეტა გარედან (ხელისუფლების, დონორების) მხრიდან უნდა მოვიდეს
- ადამიანებს არა აქვთ გაცნობიერებული თვით თემის შიგნით არსებული რესურსები პრობლემების გადასაჭრელად
- მაშინაც, როდესაც ხელისუფლება ან დონორები გარკვეულ სამუშაოებს ატარებენ (მაგალითად, სოფელში წყალი შეყავთ), ადგილობრივი თემი ვერ ახერხებს თვითორგანიზაციას მიღებული შედეგების დასაცავად, რის გამოც გარედან ჩარევებს მდგრადობა აკლია

არჩევნებში გამარჯვება მთლიანად საერთო-ეროვნულ დონეზე მმართველი პარტიის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. თუ 2012 წლამდე ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმრავლესობა იმდროინდელ მმართველ პარტიას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა, ყველა მუნიციპალიტეტში, არჩევნების გარეშეც კი, ძალაუფლება თანდათან ახალი მმართველი პარტიის მომხრეთა ხელში გადავიდა, ხოლო 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. ამ მაგალითიდანაც ბუნებრივია, რომ, თუმცა ფორმალურად ადგილობრივი თვითმმართველობა დამოუკიდებელია ცენტრისგან, რეალურად ისიც და რიგითი ამომრჩეველი მას ქვეყნის ხელისუფლების გაგრძელებად განიხილავს.

მუნიციპალური ხელისუფლების გარდა, არსებობს სოფლის გამგებლების/რწმუნებულების ინსტიტუტიც. გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, განსაზღვრების თანახმად, კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ კონკრეტული დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებთან და მუნიციპალური დონის ხელმძღვანელობას უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას დასახლების წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ. მაგრამ ჩვენმა გამოცდილებამ ამ მხრივ სხვადასხვა სირთულე გამოავლინა. სოფლის თემი გამგებლის რწმუნებულს, უმეტეს შემთხვევაში, თავის რეალურ წარმომადგნელად და სოფლის პრობლემების ეფექტურ მომგვარებლად არ თვლის. თავის მხრივ, რწმუნებულს საკმარისი რესურსები და ბერკეტები არა აქვს საიმისოდ, რომ შესაბამისი პრობლემები მოაგვაროს. გარდა ამისა, მას ხშირად ნაკლები მოტივაცია აქვს, სოფლის რეალურ პრობლემებზე იზრუნოს, რადგან გამგებლის შერჩეულია და პირველ რიგში მის წინაშე გრძნობს თავს ანგარიშვალდებულად.

რა არის გამოსავალი არსებული სიტუაციიდან? სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ იმგვარი ინსტიტუციური რეფორმების შემუშავებას და ადვოკატირებას, რაც მიმართულია ძალაუფლების შემდგომ დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონისთვის მეტი უფლებების გადაცემაზე. სამოქალაქო სექტორმა, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, შესაბამისი წინადადებების შემუშავების და ხელისუფლებაში მათი ადვოკატირების საკმაო გამოცდილება დააგროვა. სახელისუფლებო ორგანოები, სხვადასხვა მმართველი პარტიების პირობებში, ნაწილობრივ ითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს; სხვადასხვა წლებში გატარდა რეფორმები, რომლებიც, ფორმალურად და დეკლარატიულად მაინც, ხელისუფლების დეცენტრალიზაციაზე იყო მიმართული. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი რეალური ფუნქციონირების თვალსაზრისით პოლიტიკური სისტემა მაინც უკიდურესად ცენტრალიზებული რჩება. ამის ძირითად მიზეზად შეგვიძლია ჩავთვალოთ სისტემის ტენდენცია ერთი პარტიის დომინირებისკენ ხელისუფლების ყველა შტოში, რაც ადგილობრივ თვითმმართველობაზეც აისახება; მეორეს მხრივ, დომინანტი პარტიები თავის შიგნით უაღრესად ცენტრალიზებული, ერთი ლიდერის ფიგურის გარშემო კონცენტრირებული ორგანიზაციებია. ამ კონტექსტში, ძალაუფლების ფორმალური დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის ინსტიტუტების განვითარებისკენ მიმართული ცალკეული ნაბიჯები, თუნდაც ისინი, თავისთავად, პოზიტიურ შეფასებას იმსახურებდნენ, არასასურველ კონტექსტს ქმნის რეალური თვითმმართველობის განვითარებისთვის.

აქედან გამომდინარე, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების რეფორმირებაზე მიმართული ძალისხმევა თავის ღირებულებას ინარჩუნებს, არანაკლებ მნიშვნელოვანია სისტემის არსებული ბერკეტების გამოყენებაზე მუშაობა. ინსტიტუციური რეფორმები ჩვეულებრივ ემყარება იმის დაშვებას, რომ თუ მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებს მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა აირჩევს და ის ფორმალურად დამოკიდებული არ იქნება საერთო-ეროვ-

ნულ ხელისუფლებაზე, ამ ხელისუფლების წარმომადგენლები მათი ამომრჩევლების მსახურად ჩათვლიან თავს და მათ მოტივაციას ადგილობრივი პრობლემების წარმატებული გადაჭრა განსაზღვრავს. დღეს პირველი მიზანი არსებითად უკვე მიღწეულია: ადგილობრივი ხელისუფლება მთლიანად მუნიციპალური არჩევნების საფუძველზე ყალიბდება. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს საკმარისი არ არის. ძალაში რჩება ერგვარი მენტალური ინერცია, რომლის თანახმადაც, რაც არ უნდა ეწეროს კანონში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ფაქტობრივად ცენტრალური ხელისუფლების და პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე არიან ანგარიშვალდებული.

ამ მენტალური ინერციის დასაძლევად მნიშვნელოვანია, თვითმმართველობის ინსტიტუტები ადგილობრივი ინიციატივების გავლენას განიცდიდეს, საკუთარი ამომრჩევლის წნეხის ქვეშ იყოს. ეს კი მხოლოდ ადგილობრივი თემის მობილიზაციის, მისი ლიდერების მხრიდან შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების და გამოცდილების დაგროვების შემთხვევაშია შესაძლებელი. მხოლოდ თემის მიზანმიმართულმა აქტიურობამ შეიძლება დაარწმუნოს მუნიციპალური ხელისუფლება, რომ მისი მოვალეობა უპირველეს ყოვლისა ხალხის სამსახურია, ხოლო მისი წარმატება პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგომი პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული.

ადგილობრივი თემი, ადგილობრივი ხელისუფლება და განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციები: რესურსები და გამოუყენებელი შესაძლებლობები

როგორც ჩვენი პროექტის განხორციელების პროცესში გაკეთებულმა დაკვირვებებმა და მიზანმიმართულმა კვლევამ აჩვენა, მუნიციპალური ხელმძღვნელობის ეფექტურობის დონე, მისი გახსნილობა ადგილობრივი ინიციატივების მიმართ, მისდამი ადგილობრივი თემის ნდობის ხარისხი საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონის თუ დასახლების მიხედვით. მაგრამ ზოგადი კანონზომიერება მაინც ისაა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივი თემის წევრებს ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ მუნიციპალური ხელისუფლების მიმართ.

მეორეს მხრივ, გამოვლინდა ისიც, რომ იქ, სადაც თემის შიგნით იქმნება ჯგუფი, რომელსაც თვითორგანიზების და ინიციატივის გამოჩენის უნარი გააჩნია და ადამიანებს შორის ნდობით სარგებლობს, და თემი ახერხებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის კარგად გააზრებული და რეალისტური გეგმა შეიმუშავოს და უნარიანად მოახდინოს მისი ადვოკატირება მუნიციპალური მმართველობის ორგანოებში, დიდად იზრდება იმის შანსი, რომ თვითმმართველობის ორგანოები ამგვარ აქტივობაზე სათანადო რეაგირებას მოახდენს და ყველაფერი შესაბამისი პრობლემის გადაჭრით დამთავრდება.

რატომაა, რომ ასეთი რამ შედარებით იშვიათად ხდება? ზოგადი მიზეზები, როგორც უკვე ვთქვით, თვითორგანიზების ჩვევის და სოციალური კაპიტალის დეფიციტში შეიძლება ვეძებოთ. სწორედ აქ გამოიკვეთება მესამე მოთამაშის, განვითარებაზე მომუშავე დამოუკიდებელი ორგანიზაციის როლი, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში კავკასიური ინსტიტუტი ასრულებდა. ასეთი ორგანიზაციის როლი არ უნდა იყოს ადგილობრივი თემის აქტივობის ჩანაცვლება, ან თუნდაც მხოლოდ შუამავლობა ერთის მხრივ ადგილობრივ მოსახლეობას, მეორეს მხრივ კი სახელისუფლებო ორგანოებსა და დონორ ორგანიზაციებს შორის. დამოუკიდებელი ორგანიზაციის ძირითადი როლი პროცესების ფასილიტაციაა, რის შედეგადაც თვით თემის შიგნით არსებული ადამიანური, ორგანიზაციური და, შესაძლებელია, მატერიალური რესურსების აქტუალიზაცია ხდება.

ამ დროს არ არის საკმარისი, დამოუკიდებელი ორგანიზაციის და ადგილობრივი თემის თანამშრომლობა ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე იყოს მიმართული ე. წ. „ტრენინგების“ მეშვეობით; ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარება და ინფორმაციის მიწოდება ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობის კონტექსტში უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში წარმატების ინდიკატორი იქნება არა მხოლოდ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა (გზის გაყვანა, წყლის რესურსებზე მისავდომობა და ა. შ.), არამედ წარმატებული პრეცედენტების შექმნა და მათ საფუძველზე შესაბამისი სო-

რატომ არ გამოიყენება ადგილობრივი ხელისუფლების რესურსები პრობლემების გადასაწყვეტად?

- მოსახლეობა ძირითადად უნდობლადაა განწყობილი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ
- ადამიანებს სუსტი კომუნიკაცია აქვთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან
- ადამიანები არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი საკუთარი უფლებების, ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობების და შესაძლებლობების, მათთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო პროგრამების, მნიშვნელობანი საკანონმდებლო ცვლილებების, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის, საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებელი ფორმების შესახებ
- ადგილობრივი ხელისუფლება ძირითადად ცენტრალურზეა დამოკიდებული და ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ძალაუფლების რეალურ წყაროდ ვერ ხედავს
- ცენტრი მუნიციპალურ ხელისუფლებას უყურებს როგორც უპირველეს ყოვლისა არჩევნების დროს ხმების უზრუველყოფის ინსტრუმენტს. ამიტომ ეს უკანასკნელი, როგორც წესი, უპირატეს ყურადღებას უფრო მსხვილ დასახლებებს უთმობს და მხედველობიდან რჩება მცირე სოფლების პრობლემები
- ადგილობრივ ხელისუფლებას ხშირად რეალურად აკლია რესურსები პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსებული რესურსები ეფექტურად გამოიყენება
- არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე მიმართული თემის ძალისხმევა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წინააღმდეგობასაც აწყდება; შესაძლებელია ის მათ პოლიტიკურ ან კორუფციულ ინტერესებთან იყოს წინააღმდეგობაში

ციალური გამოცდილების და უნარ-ჩვევების განვითარება, რაც თემს სხვა პრობლემების გადაწყვეტაშიც გამოადგება.

თემის გააქტიურებაზე, მისი პოტენციალის აქტუალიზაციაზე მუშაობა მის წინაშე მდგომი პრობლემების განხილვით უნდა დაიწყოს. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ეს არც ისე ბანალური ამოცანაა. რაკი თემს არა აქვს პრობლემების სისტემური განხილვის გამოცდილება, ხშირად, ვითარების სტრუქტურირებული განხილვა ავლენს, რომ თემის შიგნით არსებობს საკმარისი რესურსები პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ მათი არსებობა გააზრებული არ არის. ამის მაგალითია სასმელი თუ სარწყავი წყლის მისაწვდომობა, რაც მწვავე პრობლემაა საქართველოს მრავალ რეგიონში. თემის მონაწილეობის განხორციელებული განხილვის შედეგად ხშირად გამოვლენილა, რომ მოცემულ დასახლებაში საკმარისია წყლის წყაროები, მაგრამ საჭიროა წყლის არსებული რესურსების სწორი განაწილება და მომჭირნედ ხარჯვა. ასეთ შემთხვევაში ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არა წყლის ახალი წყაროების მოპოვებაზე (როგორც ადგილობრივებს თავდაპირველად ეგონათ), არამედ არსებული რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე.

ამ გამოცდილების დაგროვება იძლევა იმის საფუძველსაც, რომ მუნიციპალური ხელისუფლება აღარ აღიქმება მხოლოდ მმართველი პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლად და რეალურად გახდება მიმართული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე. სანამ მუნიციპალური ხელისუფლება არ იგრძნობს მუდმივ პრესს მოსახლეობის მხრიდან, სანამ ადგილობრივ

ადგილობრივი თემი და დონორები: ტიპური პრობლემები

- საერთაშორისო დონორების მხრიდან ადამიანები ელიან პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას და ნაკლებად ინტერესდებიან მათთან ურთიერთობით, თუ ასეთი მოკლევადიანი სარგებლის პერსპექტივას ვერ ხედავენ
- ადგილობრივ თემს არა აქვს გაცნობიერებული თვით მისი ჩართულობის მნიშვნელობა დონორების დახმარების ეფექტურობის გასაზრდელად
- ეს პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იქ, სადაც საერთაშორისო დონორები ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ
- თვით დონორებიც მოკლევადიან და იოლად გაზომვად შედეგებზე არიან ორიენტირებული და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გრძელვადიან და რთულად გასაზომ ეფექტებს, როგორიცაა სოციალური კაპიტალის ზრდა
- დახმარების ეფექტურობა მცირდება იმით, რომ კონკრეტული პროგრამების დამთავრების შემდეგ ადგილობრივ თემს არა აქვს საკუთრების გრძნობა მიღწეული შედეგების მიმართ

თემში არ დაგროვდება საკმარისი სოციალური კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს მის წინაშე მდგომი პრობლემების ადექვატურ გაგებას და პრობლემათა განხილვის და გადაწყვეტის გარშემო თვითორგანიზაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, დიდი ალბათობით, ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალური ხელისუფლების და მმართველი პარტიის დომინანტური გავლენისგან ვერ განთავისუფლება.

მაგრამ ამ უკანასკნელ მიზანზე მიმართული ძალისხმევა თვისობრივად სხვა ტიპისაა, რადგან ის მოითხოვს თემის უკეთეს ორგანიზებას, მის წევრებს შორის თანამშრობლობის უნარების განვითარებას, და არა თემის გარეთ არსებული რესურსების მოზიდვას. ამგვარი მიდგომა განვითარების დახმარების სფეროში შეიძლება არაპოპულარული იყოს როგორც დონორებს, ისე ბენეფიციარებს შორის, რადგან შედეგი შეიძლება სწრაფად ვერ მოიტანოს. ის გულისმობს ცვლილებებს სოციალური ქცევის სტრუქტურებში და მენტალობაში, რასაც, ბუნებრივია, მეტი დრო სჭირდება. მაგრამ, მეორეს მხრივ, სიტუაციის თვისობრივი გაუმჯობესების თვალსაზრისით ეს მიდგომა უფრო პროდუქტიულია.

წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები და მათი გაკვეთილები

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია როგორც კონკრეტული პრობლემები, ისე ადგილობრივი თემის მზაობა, მონაწილეობა მიიღოს მათ გადაწყვეტაში. წარმატება და წარუმატებლობა ხშირად გაპირობებულია იმით, არსებობს თუ არა კონკრეტულ დასახლებაში ინიციატივიანი, ავტორიტეტიანი და ლიდერობის უნარის მქონე ადამიანების კრიტიკული მასა, რომელთაც სხვების კონკრეტული პროექტის გარშემო მობილიცაზია შეუძლიათ. მაგრამ სადაც ასეთი პირობა დაცულია, სავსებით შესაძლებელია, ადამიანებმა ხელშესახებ წარმატებას მიაღწიონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იწამონ თემის, როგორც ერთიანი მოქმედი პირის ძალა და შესაძლებლობები.

მოკლედ შევაჯამებთ და გავაანალიზებთ რამდენიმე ასეთი შემთხვევიდან მიღებულ გამოცდილებას.

სასმელი წყლის პრობლემა სოფელ ოლავერდში

ახალქალაქის რაიონის მაღალმთიან სოფელ ოლავერდში (ის ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე იმყოფება) სოფლის უდიდეს ნაწილს არ ჰქონდა მისაწვდომობა სასმელ წყალთან. მოსახლეებს წყლის მოტანა 500-800 მეტრით დაშორებული წყაროდან უწევდათ. ბუნებრივია, სოფლის მოსახლეობამ სწორედ წყლის პრობლემა ჩათვალა ყველაზე პრიორიტეტულად სხვა პრობლემებთან შედარებით (როგორიცაა, მაგ., მუნიციპალურ ცენტრთან დამაკავშირებელი ცუდი გზა).

სოფლის მიმდებარე ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსებით, პრობლემას ამ წყლის და მომხმარებლამდე მიტანა შეადგენდა. მნიშვნელოვანია, რომ სახელისუფლებო ორგანოებს უკვე ჰქონდათ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა: მათ შექმნეს წყალმომარაგების სისტემა, რაც მოიცავდა ელექტროტუმბოს, წყალშემკრებ ავზს, წყალგაყვანილობის მაგისტრალს და გამანაწილებელ ქსელს, მაგრამ ეს სისტემა არ მუშაობდა, რადგან სოფელი ვერ ისტუმრებდა სისტემის საექსპლუატაციო ხარჯებს. ტუმბო ელექტროენერგიაზე მუშაობდა, ეს კი თითოეულ ოჯახს თვეში 20-30 ლარი უჯდებოდა, რაც სოფლის მოსახლეებისთვის მეტისმეტად დიდი თანხა გამოდგა.

კავკასიური ინსტიტუტის საპროექტო გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი პრობლემის გადაწყვეტაში აღმოჩნდა ინოვაციური ტექნოლოგიის მოძიება და სოფლის მაცხოვრებლებთან მისი დაკავშირება. კერძოდ, საპროექტო გუნდმა მოიძია საქართველოში შექმნილი წყლის ტუმბო „ირეკსონი“, რომელიც წლის დაწნევით მუშაობს და, შესაბამისად, ელექტროენერგიას ან რაიმე სხვა საწვავს არ საჭიროებს. ამის გამო, მისი საექსპლოატაციო ხარჯები ძალზე დაბალია, ასევე, სიმარტივის გამო, ადგილობივ მოსახლეობას არ უნდა გაუჭირდეს მისი რემონტი. კავკასიურმა ინსტიტუტმა ასევე სოფლის თემი დააკავ-

შირა ტუმბოს გამომგონებელს, იოსებ ნარ-ჩემაშვილს, რომელმაც დაამზადა სოფლის კონკრეტული პირობებისთვის მორგებული წყლის ტუმბო.

ამის შემდეგ კავკასიურმა ინსტიტუტმა და სოფლის თემმა ერთობლივად იმუშავეს. ინსტიტუტმა შეიძინა 1500 აშშ დოლარის ღირებულების ტუმბო. აგრეთვე უზრუნველყო ამზომი და საპროექტო სამუშაოების ჩატარება. სოფლის თემმა, თავის მხრივ, შეიძინა დაწნევის ავზი და საჭირო მილები (რომლებიც არსებულ მაგისტრალს შეუერთდა), აგრეთვე თავად განახორციელა საპროექტო სამუშაოები ტუმბოს გამომგონებლის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. სისტემის დატესტვის პირობებში გამოვლინდა არსებული მაგისტრალის ხარვეზები, რომლებიც შეუძლებელს ხდიდა სისტემის მუშაობას. ვითარების გამოსასწორებლად კავკასიურმა ინსტიტუტმა შეიძინა დამატებით მილები, რითაც, ისევ სოფლის თემის ძალებით, შეიცვალა მაგისტრალის პრობლემური მონაკვეთები.

ამით ძირითადი პრობლემა გადაწყდა: სოფლის მაცხოვრებლებს სასმელი წყალი სახლებში მიეწოდებოდათ ისე, რომ ყოველთვიური ექსპლუატაციის ხარჯი პრაქტიკულად არ ჰქონდათ. მაგრამ ამის შემდეგ ახალი პრობლემა გამოვლინდა: წყლის რესურსის უყაირათო ხარჯვა, რამაც კვლავ საფრთხის ქვეშ ჩააგდო მთელი სისტემის მუშაობა. ამ პრობლემის გადაწყვეტა უკვე ადგილობრივი თემის ამოცანა იყო, კავკასიურმა ინსტიტუტმა აქაც შეასრულა პროცესის ფასილიტატორის და ინფორმაციის მიმწოდებლის როლი, მოსახლეობასთან პრობლემის განსამარტავად შეხვედრები ჩაატარა და მას ტუმბოს მოხმარების და წყლის ექსპლუატაციის ინსტრუქციები გადასცა. ამით, მოცემული პროგრამის ფარგლებში, კავკასიურმა ინსტიტუტმა დაასრულა თავისი ამოცანა სოფელ ოლავერდის თემის მიმართ და წყლის უწყვეტ მოწოდებაზე პასუხისმგებლობა თემმა მთლიანად გადაიბარა.

ოლავერდის წარმატებული გამოცდილება შეიძლება საქართველოს სხვა სოფლებში იყოს გამოყენებული, სადაც სასმელი წყლის მისაწვდომობის პრობლემა არსებობს და ფიზიკური გეოგრაფია იძლევა ანალოგიური სისტემის დანერგვის საშუალებას. ამაზე ტუმბო „ირეკსონით“ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დაინტერესება მიუთითებს.

ოლავერდის შემთხვევიდან გამოტანილი გაკვეთილები

ის, რომ ოლავერდს სასმელი წყლის მისაწვდომობის პრობლემა ჰქონდა, დიდი ხანია ცნობილი იყო და ვერც იმას ვიტყვით, რომ ხელისუფლებას და თემს (სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში) არ ჰქონდათ გადადგმული ნაბიჯები მის გადასაჭრელად. თუმცა წყლის მიწოდების სისტემა არსებობდა, მოსახლეობას არ ჰქონდა მისი ექსპლუატაციისთვის და შენახვა-შეკეთებისთვის საჭირო ხარჯების გასტუმრების საშუალება. თუმცა სოციალური ფონის სიმძიმე ეჭვს არ იწვევს, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაფრის ამ ერთი ფაქტორით ახსნა სწორი არ იქნება.

ხელისუფლების და თემის მიერ პრობლემის გადაჭრის ადრინდელი მცდელობები არაეფექტური აღმოჩნდა, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ საკმარისად არ იყო გათვალისწინებული კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რაც ძნელია მოხდეს თემის ჩართულობის, ადგილობრივი ცოდნის სრული გამოყენების გარეშე. გარდა ამისა, როგორც გამოჩნდა, გარკვეული სამუშაოები არაადექვატურად იყო ჩატარებული, რაც ახალი გაყვანილობის ძველთან მიერთების პროცესში გამოჩნდა.

მართალია, კავკასიური ინსტიტუტის მიერ მოძიებულმა მატერიალურმა რესურსმა (ძირითადად – მარტივმა მაგრამ ინოვაციურმა ტექნოლოგიამ) ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, პრობლემა ვერ გადაწყდებოდა, რომ არ მომხდარიყო თემის თვითორგანიზაცია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გარშემო. თემმა შეძლო გარკვეული ფინანსური რესურსის გამონახვა მილების შესაძე-

ნად, და პრობლემის გადაწყვეტაში საკუთარი შრომა ჩადო. გარდა სისტემის გამართვისა, აქ დამატებული შენაძენია სოციალური კაპიტალის განვითარება და შექმნილი სისტემის მიმართ მფლობელობის გრძნობის გაჩენა. ეს უკანასკნელი ზრდის იმის ალბათობას, რომ თემი შეძლებს არანაკლებ რთული ამოცანის შესრულებას: სისტემის შენარჩუნებას და მართებულ ექსპლუატაციას.

როგორც ოლავერდის შემთხვევის აღწერიდან გამოჩნდა, პრობლემის გადაწყვეტა არ არის ერთჯერადი ამოცანა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სისტემის თავდაპირველი გამართვა (რამაც სოფლის ნამდვილი გაერთიანება და ენთუზიაზმი გამოიწვია), არამედ მიღწეულის ხანგრძლივად შენარჩუნება. შეიძლება დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ ამ უკანასკნელს სოციალური კაპიტალის კიდევ უფრო მაღალი ხარისხი სჭირდება და ეს გაცილებით უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე პრობლემის მოგვარებისას გაწეული ერთჯერადი თვითორგანიზება.

საბჭოურ სისტემაში ცხოვრების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ადამიანებს არა აქვთ საერთო რესურსების (ამ შემთხვევაში წყლის) ყაირათიანად ხარჯვის გამოცდილება. ის, რომ თავდაპირველი ერთჯერადი ხარჯების გაღების შემდეგ წყალი ადამიანებს პრაქტიკულად უფასოდ მიეწოდებათ, სიღარიბის პირობებში ძალიან პოზიტიურია, მაგრამ ამან შეიძლება ადამიანებს შეუქმნას განწყობა, რომ წყალი განუსაზღვრელი რესურსია, რომლის მოხმარება შეუზღუდავად არის შესაძლებელი – თუმცა სინამდვილეში ეს მხოლოდ თემის სხვა წევრების ხარჯზე მოხდება. მიღწევის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თემი წყლის ყაირათიანად ხმარებაზე კონტროლის რაღაც მექანიზმს შეიმუშავებს. ამის გაკეთება შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს თემის შიგნით კონფლიქტების აღმოცენების გარეშე. როგორ გაართმევს თემი ამ ამოცანას? ამ შემთხვევაში მთავარი როლი თემმა უნდა შეასრულოს და გარე აქტორების მონაწილეობა დააბრკოლებს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების პროცესს. სწორედ ამიტომ კავკასიურმა ინსტიტუტმა შეწყვიტა აქტიური საქმიანობა ამ სოფელში და მხოლოდ კონსულტანტის სტატუსი შეინარჩუნა თემის მომდევნო ეტაპებზე მხარდაჭერის მიზნით.

გზის პრობლემა სოფელ ცივაძეებში

შუახევის რაიონის სოფელ ცივაძეების მცხოვრებლებმა მათთვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემად მუნიციპალურ ცენტრთან დამაკავშირებელი გზის უკიდურესად დაბალი ხარისხი დაასახელეს. გზის დაახლოებით კილომეტრნახევრიანი მონაკვეთი პირდაპირ საფთხეს უქმნიდა მგზავრებს, განსაკუთრებით წვიმიან და თოვლიან ამინდში. სოფლის მაცხოვრებლები მზად იყვნენ, უშუალოდ ჩართულიყვნენ პრობლემის გადაჭრაში და წარსულშიც ჰქონდათ თემის მობილიზაციის გამოცდილება. მაგრამ ამ შემთხვევაში მიზნის მიღწევა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირი მონაწილეობით იყო შესაძლებელი.

როგორც აღმოჩნდა, საკუთარი მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ურთიერთობა სოფელს სათანადოდ აწყობილი არ ჰქონია. კავკასიური ინსტიტუტის დახმარება ამ ნაწილში გახდა საჭირო. თემის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი მოსახლეობას, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას და კავკასიურ ინსტიტუტს შორის. მოხდა სხვადასხვა აქტორის რესურსების გაერთიანება. კავკასიურმა ინსტიტუტმა თავისი პროექტის ფარგლებში შეიძინა და სოფელს გადასცა 10 ტონა ცემენტი. მუნიციპალიტეტის ძალისხმევით ადგილობრივმა კომპანიამ სოფელს უსასყიდლოდ გადასცა საჭირო რაოდენობის ინერტული მასა. სოფელმა უზრუნველყო ტრანსპორტის დაქირავება და მასალის სოფელში ატანა, შემდეგ კი, თვითონ ჩაერ-

თო, განსაკუთრებით რთულ 105-მეტრიან მონაკვეთზე, ბეტონის გზის დაგებაში.

გზის ამ მონაკვეთზე სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობა გადაერთო სხვა მონაკვეთზე, რომლის მოსაწესრიგებლად საჭირო იყო კლდის ჩამონგრევა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მუნიციპალიტეტმა, სოფლის მოსახლეობის თხოვნით, მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგზაო დეპარტამენტს. საგზაო დეპარტამენტი გამოეხმაურა ამ თხოვნას და დაიქირავა კერძო კომპანია შესაბამისი სამუშაოების შესასრულებლად. მოსახლეობა არ დააკმაყოფილა შესრულებული სამუშაოს ხარისხმა და მან საკითხის შესწავლა და ვითარების გამოსწორება მოითხოვა. შეიქმნა კომისია, რომელმაც შეისწავლა მდგომარეობა და გამოავლინა ხარვეზები, რომელთა გამოსწორება იმავე კომპანიას დაევალა.

ეს ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა სოფელი ცივაძეების წინაშე მგომი პრობლემის ბოლომდე გადასაჭრელად, თუმცა გზის კრიტიკულად მნიშვნელოვან მონაკვეთებზე მდგომარეობა გაუმჯობესდა. კავკასიური ინსტიტუტის საპროექტო რესურსებიც ამოიწურა. მან დააკავშირა სოფლის თემი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ანალოგიურ პრობლემებზე მუშაობს.

სოფელ ცივაძეების შემთხვევის გაკვეთილები

სოფელი ცივაძეების შემთხვევა იმის კარგი მაგალითია, რომ სოფლის თემსა და მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაცია შეიძლება გადამწყვეტი იყოს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსები საკმაოდ შეზღუდულია და იგი ვერ წვდება ყველა საკითხს, რაც კონკრეტულ რეგიონში არსებობს. მაგრამ როდესაც თემს აქვს პრობლემის მკაფიო ხედვა და მისი გადაჭრის კონკრეტული და რეალისტური სამოქმედო გეგმა, რესურსების გამონახვა შესაძლებელი ხდება. ამით მოტივაცია ეზრდება მუნიციპალური ორგანოების თანამშრომლებსაც, რადგან მათ ინტერესებშია მათი მუშაობის კონკრეტული, გაზომვადი შედეგის დემონსტრირება. თემის უშუალო მონაწილეობა არსებითად ზრდის იმის ალბათობას, რომ ასეთი შედეგი მიღწეული იქნება.

ოღონდ წარმატების გასაღებია თემის განგრძობადი ჩართულობა პრობლემაზე მუშაობის ყველა ეტაპზე: პრობლემის გამოკვეთა, გადაწყვეტის გეგმის შემუშავება, ადგილობრივი რესურსების მობილიზება, საჭირო ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან კომუნიკაცია, სამუშაოებში უშუალო ჩართულობა და/ან მათ მიმდინარეობაზე ზედამხედველობა, შედეგების შეფასება და ხარვეზების გამოსწორება, მიღწეული შედეგის შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამისთვის კი საჭიროა თვითორგანიზაციის საკმაოდ მაღალი დონე. სოფელ ცივაძეების მოსახლეობამ ეს შეძლო. როგორც პროექტში ჩართული ადამიანები მოწმობენ, თემი კმაყოფილებას გამოთქვამდა არა მხოლოდ მიღწეული შედეგით, არამედ დაგეგმარებისა და შესრულების პროცესითაც, ასევე იმით, რომ პროექტზე მუშაობამ ადამიანთა თანამშრომლობის მაღალი უნარი აჩვენა. ამან აამაღლა თემის უნარი, სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობა გააგრძელონ. თუმცა, ოლავერდის შემთხვევის მსგავსად, ამ პროცესში თემს კონსულტაციების გავლა სჭირდება კავკასიურ ინსტიტუტთან ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომ მაქსიმალურად მოხდეს არსებული შესაძლებლობების სოფლის განვითარებისთვის გამოყენება და პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების მოძიება.

ელექტროენერგიის მიწოდება ბორჯომის საცხოვრებელ კორპუსში

ქალაქის ტიპის დასახლებებში ადგილობრივი თემის მობილიზაცია ხშირად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეებს შორის თანამშრომლობას გულისხმობს. ამ მხრივ საინტერესო იყო ქ. ბორჯომში ე.წ. „ტექნიკუმის საერთო საცხოვრებლის“ შემთხვევა. ძირეული პრობლემა სამართლებრივი ხასიათის აღმოჩნდა. აქ მცხოვრები 60-ზე მეტი ოჯახი შენობაში უნებართვოდ შეიჭრა 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ასეთი ეპიზოდები საკმაოდ გავრცელებული იყო. ადგილობრივი ხელისუფლება შერიგებული იყო ამ ვითარებას და არც უცდია ოჯახების ამ შენობიდან გამოსახლება, ასე რომ, მათი ამ კორპუსში ცხოვრების მართლზომიერების საკითხი არ იდგა; მაგრამ ოჯახების უმრავლესობას არ ჰქონდა კანონის შესაბამისად გაფორმებული საკუთრების უფლება ფართზე, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობდა წლების მანძილზე. ეს კი, თავის მხრივ, ქმნიდა კონკრეტულ პრობლემას: კონკრეტულ ფართებზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე ენერგოკომპანია ვერ ახდენდა კორპუსის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. კორპუსს ჰქონდა საერთო მრიცხველი, მაგრამ ამ საერთო მრიცხველიდან მობინადრეებს კუსტარულად ჰქონდათ მიყვანილი სადენები საკუთარ ბინებში, რაც ქმნიდა ავარიების რისკს და საფრთხეს უქმნიდა მობინადრეების სიცოცხლეს. კორპუსში ამის გამო ხანძრის შემთხვევაც ყოფილა.

მაცხოვრებლები წლების განმავლობაში ითხოვდნენ მუნიციპალიტეტისგან და ენერგოკომპანიისგან ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას, მაგრამ საკითხი წინ არ იძვროდა.

კავკასიური ინსტიტუტის დახმარებით, მოხდა პრობლემის არსში გარკვევა და ენერგოკომპანიასთან, ენერგეტიკის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გეგმის ჩამოყალიბება. საჭირო იყო მობინადრეების საბუთების მოწესრიგება, რათა მუნიციპალიტეტს მობინადრეებისთვის ფართის პრივატიზაციის უფლება მიეცა. იურიდიული პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ მუნიციპალიტეტმა გეგმის მიხედვით მიმართა ენერგოკომპანიას კორპუსის ინდივიდუალური გამრიცხველიანობის თხოვნით. დაახლოებით ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, პრობლემა გადაწყდა: ენერგოკომპანიამ საკუთარი ხარჯით შეცვალა ერთიანი კომუნალური მრიცხველი ინდივიდუალური მრიცხველებით. ყოფილი ტექნიკუმის საერთო საცხოვრებლის მობინადრეებს ელექტროენერგია უსაფრთხოების მიღებული სტანდარტების შესაბამისად მიეწოდებათ.

ბორჯომის შემთხვევის გაკვეთილები

ბორჯომის კორპუსის მაგალითი გვაჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრა ობიექტურად იოლია და რამე მატერიალური დანახარჯებს არ გულისხმობს, მაგრამ მაინც მისი მოგვარება წლების განმავლობაში არ ხორციელდება. ამის მიზეზია თემის თვითორგანიზაციის დაბალი დონე, სამართლებრივი ცოდნის დეფიციტი და ინიციატივის ნაკლებობა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. პრობლემის გადაწყვეტას არც კავკასიური ინსტიტუტის მხრიდან დასჭირვებია დამატებითი სახსრების გამოყოფა. მრავალი პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ თანმიმდევრულ და გააზრებულ ძალისხმევას საჭიროებს.

ახალგაზრობის თავშეყრის ადგილი სოფელ ხცისში

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისის მაცხოვრებლებმა სხვა ტიპის პრობლემა გამოყვეს, როგორც მათთვის პრიორიტეტული: ადგილობრივ ახალგაზრდობას თავშეყრის ადგილი არა აქვს. როგორც გამოჩნდა, ამ სოფელში არსებობდა ახალგაზრდების ჯგუფი, ოღონდ მათ, კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ამოქმედებამდე, ვერ გამოიჩინეს პრობლემის გადაწყვეტისადმი სისტემური და თანმიმდევრული მიდგომა. პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზის გააზრების შემდეგ მოხდა მოლაპარაკება მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, რომელმაც შესთავაზა, სოფლის ადმინისტრაციული შენობის ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ ოთახში შექმნილიყო საზოგადოებრივი ცენტრი. აქაც გაერთიანდა გამგეობის, კავკასიური ინსტიტუტის და ადგილობრივი ახალგაზრდობის რესურსები. გამგეობამ, ფართის გამოყოფის გარდა, მოახდინა ოთახის რემონტი, შეიძინა და დადგა კომპიუტერი და უზრუნველყო ინტერნეტზე უფასო წვდომა; სოფლის გაზიფიკაციის დასრულების შემდეგ იგი ფართის გათბობასაც თავის თავზე იღებს. კავკასიურმა ინსტიტუტმა ავეჯის მასალა, სკამები, დაფები და საკანცელარიო აქსესუარები შეიძინა. სოფლის ახალგაზრდობამ თავად ააწყო ავეჯი და მოაწყო ოთახი. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ სათემო კავშირი და დაგეგმეს კონკრეტული ღონისძიებები. თუმცა, ამ ჯგუფს შედარებით უჭირს თვითორგანიზება და მას სათემო განვითარების ინიცირების, დაგეგმვა-განხორციელების უნარების შემდგომი განვითარება სჭირდება.

ხცისის შემთხვევის გაკვეთილები

ხცისი ერთ-ერთი ის შემთხვევაა, რომელიც აჩვენებს, რომ ადგილობრივ თემს ხშირად აკლია მუნიციპალური ხელისუფლებასთან საქმიანი, კონკრეტულ პროექტებზე ორიენტირებული ურთიერთობის უნარ-ჩვევები. სოფელ ხცისის ახალგაზრდებმა საკუთარი გამოცდილებით აღმოაჩინეს, რომ თუ არსებობს კონკრეტული გეგმა და ამ გეგმით გაერთიანებული ინიციატივიანი ადამიანების ბირთვი, სავსებით შესაძლებელია კონკრეტული შედეგის მიღწევაც. ეს არ ნიშნავს, რომ წარმატების შანსები ერთნაირია ყველა პროექტის შემთხვევაში და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს თანაბარი მზაობა აქვთ, თემის ინიციატივებს მხარი დაუჭირონ; მაგრამ მოსახლეობის ზედმეტი სკეპტიციზმი და პასიურობა ხშირად თვითგანხორციელებად წინააღმდეგობად იქცევა: თუ წინასწარ ყალიბდება რწმენა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მაინც არაფერში დაგეხმარება, ბუნერივად იზრდება იმის ალბათობა, რომ კონკრეტულ თემს მისგან ნაკლები სარგებელი ექნება. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად მდგრადი აღმოჩნდება ხცისის ახალგაზრდობის ენთუზიაზმი.

დასკვნები და რეკომენდაციები

კავკასიური ინსტიტუტის გუნდმა ძალიან დიდი და ღირებული გამოცდილება მიიღო განხორციელებული პროგრამიდან. ქვემოთ ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები უპირველეს ყოფლისა ადგილობრივი თემის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციებზე და დონორებზეა მიმართული. რა უნდა გაკეთდეს, რომ ასეთი მუშაობა უფრო შედეგიანი გახდეს?

1. განვითარებაზე მიმართული საერთაშორისო დახმარების პროგრამები ჩვეულებრივ მოკლევადიან და იოლად გაზომვად შედეგებზეა ფოკუსირებული. ეს სრულიად გასაგებია იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამების განმახორციელებლები, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი დონორების (უმეტესად, გადასახადის გადამხდელების) მიმართ და ხშირად სჭირდებათ, ოპონენტების მხრიდან კრიტიკის საპასუხოდ დაასაბუთონ დახარჯული თანხების ეფექტიანობა. მაგრამ როდესაც საქმე ეხება მცირე მასშტაბის პრობლემების გადაწყვეტას ადგილობრივი თემის დონეზე, ეს მიდგომა ცალმხრივია და შესაძლოა კონტრპროდუქტიულიც აღმოჩნდეს. ადილობრივი თემის განვითარებას სჭირდება არა მხოლოდ კონკრეტული შედეგი (გაყვანილი გზა, მომხმარებლებამდე მიყვანილი წყალი და ა. შ.), არამედ თვით თემის მიერ შეძენილი გამოცდილება, უნარ-ჩვევები, სოციალური კაპიტალი, რომელიც პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობის პროცესში შეიძლება ჩამოყალიბდეს. ამ მიმართულებით პროგრესი აძლიერებს თემის უნარს, უფრო აქტიური და შედეგიანი მონაწილეობა მიიღოს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტაში და დაძლიოს გარე მოთამაშეებზე დამოკიდებულების კულტურა.

   მიდგომის შესაცვლელად, დახმარების პროგრამების შეფასების კრიტერიუმები უნდა გადაიხედოს. საჭიროა იმგვარი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც განხორციელებული პროგრამების ხსენებული გრძელვადიანი შედეგების გაზომვასაც შეძლებს.

2. თემის მობილიზაციის, პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების და სოციალური კაპიტალის განვითარებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან პარტნიორობებს ამ დარგში მომუშავე ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თემებს შორის. ამ მხრივ, კრიტიკას იმსახურებს ორი უკიდურესი მიდგომა: ერთი მხრივ პრაქტიკა, რომლის თანახმადაც გარე ორგანიზაცია თემის ჩივილებს ისმენს და მხოლოდ საკუთარი ძალით აგვარებს პრობლემას (ეს გარე დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომს ამკვიდრებს), მეორეს მხრივ კი ის, რომ ადგილობრივი თემი მხოლოდ საკუთარი ძალებით ახდენს თვითორგანიზებას და გარე დონორი მას უშუალოდ ეხმარება. სამწუხაროდ, გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი მიდგომებიც ჯერჯერობით არაფექტურია. თემის მობილიზაციაზე მომუშავე ორგანიზაციის ჩართულობა გრელვადიანი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანი და პროდუქტიული რჩება.

3. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ადგილობრივი რესურსები გაცილებით უფრო ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად, თუ უფრო აქტიური და მიზანმიმართული კომუნიკაცია დამყარდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის. ამ დროს, მოტივაცია ორივე მხარეს აქვს, რადგან თემს სჭირდება პრობლემების გადაწყვეტა, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებას – წარმატებული შემთხვევების დემონსტრირება და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. მაგრამ პრობლემა ხშირად არის არა იმდენად პრობლემების გადაწყვეტის ნების უქონლობა ან სამართლებრივი ხარვეზები, რამდენადაც ორმხრივი უნდობლობა და შედეგიანი კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დეფიციტი.

   ამგვარი კომუნიკაციის მხარდაჭერაზე, შესაბამისი მექანიზმების და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვნად ზრდის გარე დახმარების პროგრამების ეფექტურობასაც, რადგან დონორის მხრიდან მცირე დანახარჯების პირობებში ხელშესახები შედეგების მიღწევა ხდება შესაძლებელი.

4. პროექტის განხორციელების პროცესში თვალსაჩინო გახდა, რომ სოფლის საინიციატივო ჯგუფის, დასახლების საერთო კრების რჩეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამგებლის წარმომადგენლის ანუ რწმუნებულის თანამშრომლობა შეიძლება საკვანძო იყოს თემის პრობლემების გადაწყვეტაში, მაგრამ ეს რესურსი უმეტეს შემთხვევაში არაეფექტიანად გამოიყენება. ამ მხრივ, გარდა ინსტიტუციური პრობლემისა (სოფლის რწმუნებული გამგეობის წინაშე გრძნობს თავს ანგარიშვალდებულად და არა მოსახლეობის წინაშე) მოქმედებს ის ფაქტორიც, რომ სოფლის რწმუნებულის უფლება-მოვალეობები შეზღუდულია, და ის ვერ ახერხებს შუამავლის ფუნქციის ეფექტურად გამოყენებას.

   ამიტომ გარე დახმარების პროგრამებისთვის შეიძლება პერსპექტიულ მიმართულებად ჩაითვალოს სოფლის რწმუნებულებთან მუშაობა მათი უნარ-ჩვევების გაზრდის მიმართულებით.

5. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მცირერიცხოვან დასახლებებს უფრო უჭირთ მათ წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა ადგილობრივი ხელისუფლების რესურსების გამოყენებით. ამას აქვს გარკვეული პოლიტიკური სარჩულიც, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება სხვადასხვა დასახლებას ხშირად მათი საარჩევნო პოტენციალის მიხედვით აფასებს და მსხვილ დასახლებაში პროექტების განხორციელებას ანიჭებს უპირატესობას, რადგან ამით მეტი პოტენციური ამომრჩევლის მიმხრობა ეიმედება. მეორეს მხრივ, მცირე დასახლებებში შედარებით უფრო ადვილია თემის მობილიზება კონკრეტული პრობლემების გარშემო და აქ მცხოვრებ ადამიანებს შედარებით უფრო კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი პრობლემების გადაჭრა უპირველეს ყოვლისა მათ ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

   აქედან გამომდინარე, გარე დახმარების პროგრამების შედგენისა და განხორციელებისას მცირერიცხოვანი დასახლებების პრობლემათა ადვოკატირებას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს როგორც იმ მოსაზრებით, რომ ამ დასახლებებს ამგვარი დახმარება უფრო ესაჭიროება, ისე იმის გამოც, რომ ასეთ შემთხვევებში მეტი შანსია, თემის მობილიზებაზე მიმართული ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდეს.

6. როდესაც საქმე ეხება ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას, განსაკუთრებით მცირერიცხოვან დასახლებებში, გადამწყვეტი როლი შეიძლება ითამაშოს ინოვაციურმა და ამავე დროს იაფმა და მარტივმა ტექნოლოგიებმა, რაც ადვილად მოერგება კონკრეტული ადგილობრივი თემის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ამგვარი ინოცავიური ტექნოლოგიის, „ირეკსონის“ მოძიებამ ძალიან

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლავერდში კავკასიური ინსტიტუტის პროგრამის წარმატებულობაში.

ადგილობრივ თემს ნაკლები შანსი აქვს, ასეთი ტექნოლოგია დამოუკიდებლად მოიძიოს და მოიპოვოს. ადგილობრივი თემის დახმარების პროგრამები დაკავებული უნდა იყვნენ ამგვარი ტექნოლოგიების მოძიებით და მათ შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებით.

7. ადგილობრივი თემის განვითარებისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა ახალგაზრდობის პრობლემა. სოფლებშიც და პატარა ქალაქებშიც ახალგაზრდობას აწუხებს განათლებაზე მისაწვდომობის, სპორტული მოედნებისა და დარბაზების, აგრეთვე შეხვედრის ადგილების სიმწირის პრობლემა. მეორეს მხრივ, ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და ინიციატივა მნიშვნელოვანი და ხშირად გამოუყენებელი რესურსია ადგილობრივი პრობლემების გადასაწყვეტად.

ბევრგან არსებობს ახალგაზრდების ჯგუფები, რომლებიც მოტივირებულნი არიან ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასეთი ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი რეზერვია დახმარების პროგრამების ეფექტურობისა და მათი გრძელვადიანი მდგრადობის ასამაღლებლად.